USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №9
ივნისი 1 - ივლისი 1, 2020

თბილისი, 2020

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

მარიამ ლაცაბიძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ - იმპლემენტაცია. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

საკონსტიტუციო ცვლილებები

საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ განახლდა კონსტიტუციური ცვლილებების პროცესი. კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, საკონსტიტუციო ცვლილების განხილვები 2020 წლის 4 და 13 ივნისს, სატელევიზიო ფორმატში გაიმართა.[1]

ცვლილებების პროცესს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ლიეტუვას საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის დადებული 8 მარტის შეთანხმების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.[2] პროცესს გამოეხმაურა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი და ევროპული საბჭოს ყოფილი პრეზიდენტი, დონალდ ტუსკი და მოუწოდა ხელისუფლებას გაათავისუფლონ გიორგი რურუა და 8 მარტის შეთანხმება სრულად შეასრულონ.[3] ევროპარლამენტარმა ანდჟეი ჰალიცკმა ტვიტერზე დაწერა, რომ გიორგი რურუას პატიმრობასთან დაკავშირებით საქართველოს გენერალურ პროკურორს წერილი მისწერა.[4] პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორმა ელჩებმა განცხადება 19 ივნისს გაავრცელეს, სადაც მხარეებს 8 მარტის შეთანხმების სრულად შესრულებისა და საარჩევნო სისტემის რეფორმისთვის საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერისკენ მოუწოდეს.[5] 2020 წლის 21 ივნისს პარლამენტმა, 136 ხმით 5-ის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები.[6] კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, ხოლო პარტია ,,ევროპულმა საქართველომ“

---

[1] ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის (N07-3/443; 11.03.2020) საყოველთაო-სახალხო განხილვის შემაჯამებელი ოქმი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 19.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38I4CcI, განახლებულია: 13.07.2020.

[2] ,,8 მარტის შეთანხმების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს - ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი“, საინფორმაციო პორტალი ,,on.ge”, 10.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32mZbZU, განახლებულია: 13.07.2020.

[3] ,,შეშფოთებულები ვართ, რომ გიორგი რურუა კვლავ ციხეში იმყოფება - დონალდ ტუსკი“, საინფორმაციო პორტალი ,,on.ge”, 17.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OupSUc , განახლებულია: 13.07.2020.

[4] „ბოლო პოლიტპატიმრის შესახებ გენერალურ პროკურორს მივწერე, ის კვლავ პატიმრობაშია, რატომ? — ევროპარლამენტარი რურუაზე“, საინფორმაციო პორტალი ,,on.ge”, 17.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZuigaH, განახლებულია: 13.07.2020.

[5] ,,პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორების ერთობლივი განცხადება (19 ივნისი)“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 19.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2C36XwM, განახლებულია: 13.07.2020.

[6] ,,პარლამენტმა კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც საარჩევნო სისტემის შეცვლას უკავშირდება, პირველი მოსმენით მიიღო”, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 21.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38GbKAB , განახლებულია: 09.07.2020.

ცვლილებებს პირველი მოსმენით დაუჭირა მხარი.[7] საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით მიღება საქართველოს პარლამენტს ფასილიტატორმა ელჩებმა მიულოცეს და ის „პლურალიზმისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან პირველ ნაბიჯად“ შეაფასეს.[8] მათ ასევე გამოთქვეს იმედი, რომ ამ ცვლილებებს ფართო მხარდაჭერა ექნებოდა და მხარეებს 8 მარტის შეთანხმების შესრულებისკენ მოუწოდეს.[9] ცვლილებების პირველი მოსმენით მიღებასთან დაკავშირებით ევროპარლამენტარებმა მარინა კალიურანდმა და სვენ მიკსერმა ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს, სადაც დეპუტატების მიერ ცვლილებებისთვის ხმის მიცემა შეაფასეს, როგორც ,,დადებითი სიგნალი“, რადგან ის ფართო კონსენსუსზე დაფუძნებული მიდგომის დასტურია.[10] მათ ასევე მოუწოდეს ყველა მხარეს, 8 მარტის შეთანხმების შესრულებისას ამ პოზიტიურ იმპულსს დაყრდნობოდნენ, რაც, მათი თქმით, ხელს შეუწყობდა საქართველოში პოლიტიკური გარემოს დეპოლარიზებას და უზრუნველყოფდა მოქალაქეთა დემოკრატიული ნების სათანადოდ ასახვას შემდეგი მოწვევის პარლამენტში.[11] ცვლილებების მიღებას ასევე მიესალმა ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი: „მე 142 ხმა დავითვალე, რომელიც საკონსტიტუციო შეთანხმებას უჭერდა მხარს 8 მარტის შემდეგ და მივესალმები, რომ პარლამენტმა 136 ხმით, პირველი მოსმენით მიიღო ცვლილებები“.[12] ცვლილებების მიღებას გამოეხმაურა ამერიკელი კონგრესმენი ადამ კირზინგერი - „გრძელი გზა, თუმცა ამად ღირდა“ - დაწერა მან ტვიტერზე.[13]

2020 წლის 23 ივნისს პარლამენტმა კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს მხარი მეორე მოსმენით დაუჭირა - 115 ხმით 3-ის წინააღმდეგ.[14] კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ დეპუტატებმა.[15] მთავარი ოპოზიციური პარტიები ცვლილებებისთვის ხმის მიცემის წინაპირობად გიორგი რურუას გათავისუფლებასა და 8 მარტის შეთანხმების სრულად შესრულებას ასახელებდნენ.[16] ცვლილებებს მიესალმა ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და წუხილი გამოხატა, რომ ამ პროცესმა ზღვარზე გაიარა, რადგან 115 მხარდამჭერი ჰყავდა.[17] დიპლომატმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ის ცვლილებების 142 ხმით მხარდაჭერას ელოდა და იმედი გამოთქვა, რომ ამ რაოდენობის ხმები მესამე კენჭისყრაზე მაინც ექნებოდა.[18] პროცესს გამოეხმაურა აშშ-ს დემოკრატი საპრეზიდენტო კანდიდატის ჯო ბაიდენის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მრჩეველი, მაიკლ კარპენტერი და განაცხადა რომ გიორგი რურუა უნდა გათავისუფლდეს და მის პარტიას არჩევნებში მონაწილეობის საშუალება შემაკავებელი ფაქტორების გარეშე უნდა მიეცეს[19]. აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა,

---

[7] იქვე.

[8] ,,აშშ-ის საელჩოს განცხადება საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით (21 ივნისი)“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 21.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38GioqA, განახლებულია: 09.07.2020.

[9] იქვე.

[10] ევროპარლამენტარების - მარინა კალიურანდმის და სვენ მიკსენის ერთობლივი განცხადება ახალი საარჩევნო სისტემის საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენის შესახებ, ბრიუსელი, 22.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZquKQB, განახლებულია: 13.07.2020.

[11] იქვე.

[12] „მე დავითვალე 142 ხმა, რომელიც 8 მარტის შეთანხმების შემდეგ ცვლილებებს მხარს უჭერდა — ჰარცელი“, საინფორმაციო პორტალი ,,on.ge”, 22.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3j0YNWQ, განახლებულია: 13.07.2020.

[13] ,,საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით მიღებას საერთაშორისო შეფასებები მოჰყვა“, საინფორმაციო პორტალი ,,civil.ge”, 22.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3epqtBn, განახლებულია: 13.07.2020.

[14] „დეპუტატებმა საქართველოს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს მეორე მოსმენით მხარი დაუჭირეს“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 23.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ehfSIy, განახლებულია: 09.07.2020.

[15] ,,პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები მეორე მოსმენით მიიღო“, საინფორმაციო პორტალი ,,civil.ge”, 23.06.2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OyY7KB, განახლებულია: 13.07.2020.

[16] იქვე.

[17] „ვიმედოვნებ, რომ 8 მარტის შეთანხმების სულისკვეთება აღდგება და ცვლილებებს მესამე მოსმენაზე 142 ხმა ექნება — ჰარცელი”, საინფორმაციო პორტალი ,,on.ge”, 23.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZoAiem, განახლებულია: 13.07.2020.

[18] იქვე.

[19] ,,კარპენტერი: რურუა უნდა გაათავისუფლონ, ის და მისი პარტია არჩევნებზე არ უნდა შეაფერხონ“, საინფორმაციო პორტალი ,,on.ge”, 23.06.2020 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2DGybKB , განახლებულია: 13.07.2020

რომ მნიშვნელოვანი იყო, საკონსტიტუციო ცვლილებებს ჰქონოდა სრული მხარდაჭერა.[20] ,,ეს იქნება დიდი წარმატება, თუკი ცვლილებები პარლამენტში სრული მხარდაჭერით გავა. ეს იქნება ერთგულების გამოხატულება იმ დემოკრატიული პროცესების მიმართ, რაც საქართველოშია და შექმნის უკეთეს პირობას არჩევნებისთვის" - განაცხადა მან.[21]

2020 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები 117 ხმით, მესამე და ბოლო მოსმენით დაამტკიცა.[22] მესამე კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და „ევროპული საქართველოს" დეპუტატებმა.[23] მათ მიზეზად კვლავ 8 მარტის შეთანხმების სრულყოფილად შესრულებისა და გიორგი რურუას გათავისუფლების მოთხოვნა დაასახელეს.[24]

საქართველოში აშშ-ის, ევროკავშირის და გერმანიის საელჩოებმა იმავე დღეს ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს, რომლითაც საქართველოს პარლამენტს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება მიულოცეს და მწუხარება გამოთქვეს, რომ ზოგიერთმა პარტიამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.[25] მათ კვლავ აღნიშნეს 8 მარტის შეთანხმების ვალდებულებების სრულად შესრულების გადამწყვეტი მნიშვნელობა.[26] ცვლილებებს გამოეხმაურნენ სხვა საერთაშორისო პარტნიორებიც. ამერიკელმა კონგრესმენმა და კონგრესის აშშ-საქართველოს მეგობრობის თავმჯდომარემ ადამ კინზინგერმა საქართველოს პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მიღება მიულოცა და მხარეებს 8 მარტის შეთანხმების სრულად შესრულებისკენ მოუწოდა (მემორანდუმს თან ახლდა ერთობლივი განცხადება, რომელიც მოიცავდა პუნქტს მართლმსაჯულების პოლიტიზაციის თავიდან აცილების შესახებ), ასევე, მადლობა გადაუხადა საქართველოში აშშ-ის საელჩოს.[27] ახალი საარჩევნო სისტემის მიღებას გამოეხმაურა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი და ის შეაფასა, როგორც საკვანძო მომენტი მეტი პლურალიზმისთვის.[28] ერთობლივი განცხადება გაავრცელეს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თანათავმჯდომარე მარინა კალიურანდიმ და საქართველოს საკითხებზე თანამომხსენებელმა სვენ მიკსერმა.[29] მათ ცვლილებების დამტკიცებას უწოდეს ისტორიული ნაბიჯი, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია.[30] საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას გამოეხმაურა აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარე ჯიმ რიში, რომელმაც ტვიტერზე დაწერა, რომ კმაყოფილია, თუმცა მოუთმენლად ელის 8 მარტის შეთანხმების სრულად შესრულებას.[31] მისი აზრით, ეს გაზრდის ქართველების ნდობას საკუთარი მთავრობის მიმართ და

[20] ,,აშშ-სთვის მთავარია, ცვლილებები პარლამენტის სრული მხარდაჭერით იყოს მიღებული — დეგნანი", საინფორმაციო პორტალი ,,on.ge", 25.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iV77rn, განახლებულია: 13.07.2020.

[21] იქვე.

[22] ,,პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები 117 ხმით, მესამე მოსმენით მიიღო", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 29.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38iGRCj, განახლებულია: 02.07.2020.

[23] ,,პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო", საინფორმაციო პორტალი ,,civil.ge", 29.06.2020, https://bit.ly/31JEmYa, განახლებულია: 02.07.2020.

[24] იქვე.

[25] ,,პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორების ერთობლივი განცხადება საარჩევნო სისტემის ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით (29 ივნისი)", ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 29.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Bz2Zw2, განახლებულია: 02.07.2020.

[26] იქვე.

[27] ,,კვლავ მოვუწოდებ მხარეებს 8 მარტის შეთანხმების სრულად შესრულებისკენ – კინზინგერი", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 29.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30b0Wa6, განახლებულია: 13.07.2020.

[28] ,,ეს საკვანძო მომენტია მეტი პოლიტიკური პლურალიზმისთვის – ბორელი საკონსტიტუციო ცვლილებებზე", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 29.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38iUdyo, განახლებულია: 13.07.2020.

[29] ,,მივესალმებით ცვლილებების მიღებას, იმედია, პოზიტიური იმპულსი საარჩევნო რეფორმის კენჭისყრისას შენარჩუნდება — ევროპარლამენტარები", საინფორმაციო პორტალი ,,on.ge", 30.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Wau3sP, განახლებულია: 13.07.2020.

[30] იქვე.

[31] ,,მოუთმენლად ველი 8 მარტის შეთანხმების სრულ შესრულებას — სენატორი რიში", საინფორმაციო პორტალი

ხელს შეუწყობს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობას.[32] ევროპარლამენტარმა ვიონა ფონ კრამონმა განაცხადა, რომ ეს ცვლილებები ისტორიული შეთანხმების ნაწილია და სამწუხაროა, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა, კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმით, შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს.[33]

საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა ოპოზიციის ქმედებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გიორგი რურუა, რომელსაც ოპოზიციის ნაწილი ,,პოლიტპატიმარს" უწოდებდა და რომლის გამოშვების გარეშეც საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად კენჭისყრაში არ მონაწილეობდა, **8** მარტის შეთანხმებაში ნახსენები არ იყო.[34] ეს განცხადება გააკრიტიკა ოპოზიციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა. „ევროპული საქართველოს" ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა: „თანავუგრძნობ მას, არ ვიცი, მერამდენედ უნდა გაეხვიოს ასეთ შარში".[35] „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერის, შალვა ნათელაშვილის თქმით, ელჩს „ივანიშვილი აფინანსებს".[36] ოპოზიციის ზოგიერთი შეფასება ამ კომენტარზე ევროკავშირის დელეგაციამ ,,შეტევად" მიიჩნია და ყველა მხარეს ადამიანის ღირსების დაცვისკენ მოუწოდა.[37]

საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად:[38]

1. 2020 წელს არჩეული პარლამენტი დაკომპლექტდება **120 - პროპორციული წესით და 30 - მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატებისგან;**
2. პროპორციულ ნაწილში საარჩევნო **ბარიერი შეადგენს 1%-ს.** საარჩევნო ბლოკებისთვის ბარიერი განისაზღვრება ერთი პროცენტისა და მასში შემავალი პარტიების ნამრავლით;
3. გაუნაწილებელი მანდატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თანმიმდევრობით განაწილდება უდიდესი ნაშთის მქონე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებზე;
4. კანონპროექტი ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჯამურად მიღებული მანდატებისთვის ზღვრის დადგენას, რომელიც განისაზღვრება პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო ბლოკების მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ნამდვილი ხმების საერთო რაოდენობაში მათ მიერვე პროპორციული წესით მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული წილისა და ამ წილის ერთი მეოთხედის ჯამით. **ეს ზღვარი ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებას გამორიცხავს** იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პარტია ან საარჩევნო ბლოკი პროპორციული სისტემით ხმათა **40%-ზე** ნაკლებს მიიღებს;
5. 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭება პარტიას, რომლის მხარდაჭერა დადასტურებული იქნება არანაკლებ 5000 ამომრჩევლის ხელმოწერით. ამასთან, 5000 ხელმოწერის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლდებიან ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით გათვალისწინებულ წესებს;
6. **იქმნება 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი,** ამ კანონის მიღების

,,on.ge", 01.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Zq3Mc4, განახლებულია: 13.07.2020.

[32] იქვე.

[33] ,,სამწუხაროა, რომ ოპოზიციის ყველა პარტიამ ხმა არ მისცა ცვლილებებს, ეს გაშვებული შესაძლებლობაა - ევროპარლამენტარი", საინფორმაციო პორტალი ,,on.ge", 01.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OmGH3v, განახლებულია: 13.07.2020.

[34] „რურუა შეთანხმებაში ნახსენები არ არის – გერმანიის ელჩი", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 26.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ing6B4, განახლებულია: 02.07.2020.

[35] ,,თანავუგრძნობ, მერამდენედ უნდა გაეხვიოს ასეთ შარში – ბოკერია გერმანიის ელჩზე", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 26.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/322QaoG, განახლებულია: 09.07.2020.

[36] ,,გერმანიის ელჩი ფინანსდება ივანიშვილის რეჟიმისგან – ნათელაშვილი", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 27.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gJHDei, განახლებულია: 09.07.2020.

[37] ,,ვგმობთ შეტევებს გერმანიის ელჩის მიმართ" – EU-ს დელეგაცია საქართველოში", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 29.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gkJZAa, განახლებულია: 02.07.2020.

[38] საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OlvDUw, განახლებულია: 13.07.2020.

დროისთვის მოქმედი ადმინისტრაციული საზღვრების შესაბამისად;

7. 2020-დან 2024 წლამდე შუალედში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, პირველი ასეთი არჩევნები ჩატარდება 2020 წლისთვის განსაზღვრული წესების შესაბამისად.

საია მიესალმება საარჩევნო სისტემის ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კონსტიტუციური დებულებები საერთაშორისო სტანდარტისა და შეთანხმების პირობების დარღვევით ავლებს საზღვრებს მაჟორიტარულ ოლქებს შორის,[39] ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სამართლიანი საარჩევნო სისტემისკენ მიმავალ გზაზე.

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა

საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების შემდეგ პარლამენტმა მუშაობა დაიწყო საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაზე. მის აუცილებლობას ხაზი გაუსვეს პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორმა ელჩებმა. „ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, ჩაერთონ ეუთო/ოდირის საარჩევნო რეფორმების რეკომენდაციების მიღებასა და შესრულებაში“ - ნათქვამია 29 ივნისის განცხადებაში.[40] საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმას გამოეხმაურნენ ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თანათავმჯდომარე მარინა კალიურანდი და საქართველოს საკითხებზე თანამომხსენებელი სვენ მიკსერი. მათ იმედი გამოთქვეს, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ეუთო/ოდირის რეკომენდაციების გათვალისწინებას მხარს ყველა პოლიტიკური პარტია დაუჭერს.[41] „ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მთავარ პოლიტიკურ პარტიას, მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში 8 მარტის შეთანხმების სულისკვეთებით და ხელი შეუწყონ საქართველოში პოლიტიკური გარემოს დეპოლარიზაციას” - ნათქვამია ევროპარლამენტარების განცხადებაში.[42]

2020 წლის 30 ივნისს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საარჩევნო კანონპროექტი პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით განიხილა.[43]

კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებებს შემდეგ საკითხებზე: პარტიების დაფინანსების ახალი მოდელი, საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესების დაზუსტება, მედიაკამპანია და საეთერო დრო, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების საარჩევნო აგიტაციაში ჩართვის შეზღუდვა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ამკრძალავი დამატებითი რეგულაციები, გენდერული კვოტირების შემოღება და სხვა.[44]

საიამ პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების პროექტზე დასკვნა წარუდგინა.[45] ორგანიზაცია მიესალმა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გადადგმულ ნაბიჯებს

[39] საინფორმაციო ბიულეტენი №6, გვ. 2-3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Cl2uWq, განახლებულია: 09.07.2020.

[40] ,,პოლიტიკური დიალოგის ფასილიტატორების ერთობლივი განცხადება საარჩევნო სისტემის ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით (29 ივნისი)”, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური ვებგვერდი, 29.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Bz2Zw2, განახლებულია: 02.07.2020.

[41] ,,მივესალმებით ცვლილებების მიღებას, იმედია, პოზიტიური იმპულსი საარჩევნო რეფორმის კენჭისყრისას შენარჩუნდება — ევროპარლამენტარები”, საინფორმაციო პორტალი ,,on.ge”, 30.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Wau3sP, განახლებულია: 13.07.2020.

[42] იქვე.

[43] ,,იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების განხილვა დაიწყო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 30.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2VV4hc3, განახლებულია: 02.07.2020.

[44] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი N07-3/476/9, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dXuxbC, განახლებულია: 02.07.2020.

[45] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eWHX9o, განახლებულია: 02.07.2020.

და დადებითად შეაფასა კანონპროექტის შემუშავების ღია ფორმატი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

თუმცა, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კვლავ რჩება საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად:

ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი. საიას აზრით, პროექტით გათვალისწინებული მექანიზმები არ იყო საკმარისი არსებული გამოწვევების დასაძლევად და საჭიროებდა დამატებით რეგულაციებს, კერძოდ: (1) სააგიტაციო მასალის განთავსების შეზღუდვის დისტანციის გაზრდა 100 მ-მდე და იმავე რადიუსში ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის ყოფნის აკრძალვა (გარდა ამომრჩევლისა)", (2) იმავე რადიუსში ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის ყოფნის აკრძალვას (გარდა ამომრჩევლისა, კენჭისყრის შენობასთან მისვლის ვადით).

არჩევნების წინა დღის „სიჩუმის დღედ" გამოცხადება. საია მიზანშეწონილად მიიჩნევდა არჩევნების წინა დღის „სიჩუმის დღედ" გამოცხადებას. სიჩუმის პერიოდი გულისხმობს კამპანიის ჩატარების აკრძალვას დროის გარკვეულ მონაკვეთში, რათა მოქალაქეებს რეფლექსიის საშუალება მიეცეთ. ამ დროს ნებადართული არ არის ამომრჩევლის დარწმუნება რომელიმე კანდიდატის/ პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება. შემოთავაზებული ცვლილებებით, შენარჩუნებული იყო არსებული წესი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა. საიას მიზანშეწონილად მიაჩნდა მომდევნო არჩევნებიდან საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებაზე გადასვლა.
გენდერული კვოტირება. საია მიესალმა გენდერული კვოტირების შემოღებას (შემოთავაზებული იყო 25%), თუმცა, მისი აზრით, გრძელვადიანი და მდგრადი პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად, მნიშვნელოვანი იყო პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის წარმომადგენლობის გაზრდა 50%-მდე.

საიას რეკომენდაციები ასევე მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის გასაჩივრება, საარჩევნო დავების რეგულაციების მოწესრიგება და გასატანი ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანის წესები.[46]

1 წელი 20 ივნისის საპროტესტო აქციიდან

20-21 ივნისის აქციის დარბევიდან ერთი წლის შემდეგ, 2020 წლის 20 ივნისს, მოძრაობა „სირცხვილიამ" პარლამენტთან აქცია გამართა.[47]
საიას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებიდან ერთი წელი გავიდა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გამოძიების ფარგლებში, დღემდე არ გაუკეთებია მოვლენების სისტემური ანალიზი.[48] ამ დროისთვის არცერთი სამართალდამცავი არ არის დასჯილი და სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 3 პოლიციელის მიმართ მიმდინარეობს.[49]
2020 წლის 18 ივნისს 20-21 ივნისის მოვლენების შედეგად დაზარალებულმა სამმა პირმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარადგინა.[50] ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო, მატერიალური ან/და მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ.[51] სასამართლოში მათ ინტერესებს საია დაიცავს.

---

[46] იქვე.
[47] „გვახსოვს 20 ივნისი!" – რუსთაველზე საპროტესტო აქცია მიმდინარეობს", საინფორმაციო პორტალი ,,ნეტგაზეთი", 20.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2ZtxHyK, განახლებულია: 02.07.2020.
[48] ,,20-21 ივნისის მოვლენები გამოუძიებელია", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 19.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2BZWbHM, განახლებულია: 02.07.2020.
[49] იქვე.
[50] ,,20-21 ივნისის მოვლენების შედეგად დაზარალებულები შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ", 18.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gxcN91, განახლებულია: 02.07.2020.
[51] იქვე.

COVID-19-თან დაკავშირებული საარჩევნო რეგულაციები

საარჩევნო პროცესის დროს კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ხელისუფლება უსაფრთხოების აუცილებელ წესებს შეიმუშავებს.

2020 წლის 22 და 29 ივნისს პარლამენტში, პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარების შესაძლო წესების განხილვის მიზნით, გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრები, საქართველოს მთავრობის, ცესკოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.[52]

შემუშავდა კონკრეტული ნორმები 2020 წლის არჩევნებისთვის. ცვლილებების თანახმად, ცესკოს ენიჭება უფლებამოსილება, გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

- სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსებული, კორონავირუსით ინფიცირებული და საკარანტინო სივრცეებში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობა;
- ალტერნატიული ჯგუფების შექმნა ისეთი გარემოების დადგომისას, როდესაც საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თავიანთ მოვალეობებს ვერ ასრულებენ;
- კენჭისყრის შენობაში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დადგენა მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი უწყებების რეკომენდაციების მიხედვით;
- უცხოეთში მცხოვრები ქართველების არჩევნებში მონაწილეობა;
- სხვა საკითხები, რომლებიც, საარჩევნო პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვასთან ერთად, უზრუნველყოფს კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციას.

საია მიესალმება ამ პროცესს და საჭიროდ მიიჩნევს ახალი კორონავირუსის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით უსაფრთხოების რეგულაციების შემოღებას. ორგანიზაცია აგრძელებს მუშაობას კანონმდებლობის დახვეწისთვის წინადადებების შესამუშავებლად.

ძალადობრივი ქმედებები წინასაარჩევნოდ

ივნისში საქართველოში დაფიქსირდა ორი ფაქტი, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით ძალადობის ნიშნებს შეიცავდა.

- **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის დარბევა გორში**

გორში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ცენტრალური ოფისი დაარბიეს.[53] ჩაამტვრიეს ფანჯრები, დააზიანეს კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარი ფაქტის გამო, ერთი პირი დააკავეს, ხოლო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.[54] გორის

[52] ,,კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარების შესახებ საქართველოს პარლამენტში მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 29.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3imq5Xn, განახლებულია: 02.07.2020.

[53] „გორში ენმ-ის ოფისი დაარბიეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 26.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3io70nN, განახლებულია: 02.07.2020.

[54] იქვე.

ოფისის დარბევაში მხილებული პირის ფოტო სოციალურ ქსელში გავრცელდა.[55]

საიას მონიტორინგის ჯგუფი თვითმხილველებს გაესაუბრა. პირები, რომლებმაც თავდამსხმელის ჩაცმულობის დანახვა შეძლეს, ამბობდნენ, რომ მას „ოცნების" მაისური ეცვა.

- **მოჭიდავეების მობილიზება აჭარაში**

2020 წლის 21 ივნისს ტელეკომპანია „ფორმულამ" გაავრცელა ინფორმაცია, სადაც საუბარი იყო ხელისუფლების მხრიდან ყოფილი სპორტსმენების არაფორმალურ ორგანიზებულ ჯგუფებად მობილიზებაზე.[56] მედიასაშუალების ცნობით, 2020 წლის მარტში გაიმართა აჭარის მაღალჩინოსნების მიერ ორგანიზებული შეხვედრები პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის, თორნიკე რიჟვაძის მამამ და პოლიციის უფროსმა კონსტანტინე ანანიაშვილმა მოჭიდავეებს, არჩევნებზე დახმარების სანაცვლოდ, ფული შესთავაზეს.[57] რევაზ წულუკიძის ძმა ფირუზ წულუკიძე აცხადებს, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მამა დავით რიჟვაძე, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროს კოტე ანანიაშვილთან ერთად, საიდუმლოდ ხვდებოდა მას და რამდენიმე სპორტსმენს და წინასაარჩევნოდ დახმარებას სთხოვდა.[58] მაღალჩინოსნებმა მათ, ჩართულობის სანაცვლოდ, კონკრეტული დაპირებები მისცეს, რაც მოიცავდა ფულად დახმარებას, მიწების სიმბოლურ ფასად გადაცემას და მშენებლობის ნებართვებს.[59]
2020 წლის 7 მაისს ამ შეხვედრის მონაწილე ორი პირი - რევაზ წულუკიძე და ელდარ ანთაძე - ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.[60] პროკურატურა მათ აპრილში მომხდარ ჩხუბს ედავებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბრალი 4 პირს წარედგინა, თუმცა წინასწარ პატიმრობაში მხოლოდ რევაზ წულუკიძე და ელდარ ანთაძე დატოვეს.[61] ოჯახები და ახლობლები მათ დაკავებას პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებდნენ და ამბობდნენ, რომ ხელისუფლებამ ისინი წინასაარჩევნოდ დახმარებაზე უარის გამო დასაჯა.[62]
ბრალდებულების მეუღლეებმა ჟურნალისტებს აჩვენეს ქვითრები,[63] რომელთა მიხედვითაც, მათ სოციალური დახმარება 2020 წლის მარტში ჩაურიცხეს.[64] თუმცა, რევაზ წულუკიძის ოჯახი სოციალურად დაუცველი არ არის. სავარაუდოდ, კვალის ასარევად, თანხები სპორტსმენების ცოლების ანგარიშებზე ჩაირიცხა. ამას მოწმობს სახელმწიფო ხაზინიდან ფულის გადარიცხვის დოკუმენტი. რევაზ წულუკიძის თქმით, ეს იყო წინასწარი დახმარება მათ დასაინტერესებლად.[65]
პროკურატურამ ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ჩვენების მისაცემად დაიბარეს ფირუზ წულუკიძე.[66]
საია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, ჩატარდეს ამ შემთხვევების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება. ასევე, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია აღნიშნული გამოძიებების მიმდინარეობის შესახებ.

[55] „სოციალურ ქსელში „ენმ"-ის ოფისის დარბევაში ბრალდებულის ფოტო გავრცელდა", საინფორმაციო პორტალი „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი", 27.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2CYqgYF, განახლებულია: 02.07.2020.
[56] „მამა-შვილის ზონდერები, საინფორმაციო პორტალი ტელეკომპანია „ფორმულა", 21.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YUkWhs, განახლებულია: 13.07.2020.
[57] იქვე.
[58] იქვე.
[59] ,,მამა შვილის ზონდერები, საინფორმაციო პორტალი ტელეკომპანია ,,ფორმულა", 21.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YUkWhs, განახლებულია: 13.07.2020.
[60] „ემოციებს დაგანახებთ აწი" – წულუკიძე და ანთაძე პატიმრობაში დატოვეს", საინფორმაციო პორტალი ,,ბათუმელები ნეტგაზეთი", 23.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gkdL8d, განახლებულია: 13.07.2020.
[61] იქვე.
[62] იქვე.
[63] კრედო ბანკის ამონაწერი ანგარიშიდან: ანგარიშის მფლობელი: ნარი ფუტკარაძე, საიდენტიფიკაციო ნომერი: 61001074207, ამონაწერის პერიოდი: 2020-03-20 - 2020-04-20, სოციალური დახმარება: 2000 ლარი.
[64] იქვე.
[65] ,,მამა-შვილის ზონდერები, საინფორმაციო პორტალი ტელეკომპანია ,,ფორმულა", 21.06.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YUkWhs, განახლებულია: 13.07.2020.
[66] „პროკურატურაში დამიბარეს" – სპორტსმენი, რომელიც „ზონდერჯგუფის" შექმნაზე საუბრობდა", საინფორმაციო პორტალი ,,ბათუმელები ნეტგაზეთი", 01.07.2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2AnVFCY, განახლებულია: 13.07.2020.